დედანდელი მდგომარეობით ფასადზე, მეორე და მესამე სართულებზე კედლის შევსებაში წარმოქმნილია ვერტიკალური ბზარები (ფოტო 3, 4). ფასადიდან მარცხნივ მდებარე ტორსულ კედელთან გაყვანილია გეოლოგიური შურფი და ბეტონის ზედირკველში შეინიშნება ჰორიზონტალური ბზარი (ფოტო 5). მესამე-მეოთხე სართულებზე #3 და #6 ბინებში ჩატარებულია სარემონტო სამუშაოები. #3 ბინაში ჭერზე თაბაშირმუყაოს ფილების პირაპირებში წარმოქმნილია ბზარები (ფოტო 6), ხოლო #6 ბინაში პარკეტის იატაკი ამობურცულია, სხვა რაიმე სახის დაზიანებები აღნიშნულ ბინებში არ შეინიშნება. მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე, მეცხრე და მეათე სართულებზე არსებული ბინების დათვალიერება ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ მოხერხდა. მეშვიდე სართულზე არსებულ ორივე ბინაში მიმდინარეობს სარემონტო მოპირკეთებითი სამუშაოები და რაიმე სახის დეფორმაციები არ შეინიშნება. მერვე სართულზე არსებული ბინები გარემონტებულია. #15 ბინაში იატაკის მოპირკეთების ქვემოთკული ფილები გაბზარულია, ხოლო გარე კედელზე, კარის ღიობთან ზღუდარის დონეზე წარმოქმნილია დახრილი ბზარი (ფოტო 7, 8). კიბის უჯრედში, ცალკეული სართულების კედლის შევსებაში შეინიშნება ვერტიკალური და დახრილი ზედაპირული ბზარები (ფოტო 9, 10, 11, 12, 13).

ამრიგად, ქ. თბილისში, აბაშიძის ქ. #85-ში (ს/კ 01.14.11.023.036) მდებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის ტექნიკური მდგომარეობა, მიუხედავად მასზე არსებული რაოდენობრივად და ხარისხობრივად მცირე დაზიანებებისა, მთლიანობაში დამაკმაყოფილებელია.

ავთანდილ რომელაშვილი

გამოყენებული მასალები

1. СП-13-102-2003
2. სნ§ 36. 01.01-09 „სეისმომედეგი მშენებლობა"
3. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საცხ. და საზ. შენობების გამოკვლევის და სეისმომედეგობის თვალსაზრისით მათი ტექნიკური მდგომარეწობის დადგენის ინსტრუქცია. თბილისი 1992 წ.

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: ზაზა ყიფიანი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: ბადრი ლეფსაია

ფოტოილუსტრაცია



ფოტო 1



ფოტო 2



ფოტო 3



ფოტო 4



ფოტო 5



ფოტო 6



ფოტო 7



ფოტო 8



ფოტო 9



ფოტო 10



ფოტო 11



ფოტო 12



ფოტო 13

აშშ-ის შეერთებული შტატების საელჩოს ანტინარკოტიკული და სამართალდაცვითი პროგრამა (INL Program):

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ნიების მანძილზე ატიურად თანამშრომლობს აშშ-ის შეერთებული შტატების საელჩოს ანტინარკოტიკულ და სამართალდაცვით პროგრამასთან (INL Program).

INL- ის დახმარებით ლეგონსტიტუცია ჩაეტარდა ბიუროს ცენტრალურ ოფისს, სადაც აღიჭურვა ბიუროს დნმ ლაბორატორია და სხვადასხვა ლაბორატორიებისათვის შეძენილ იქნა საჭირო უახლესი აპარატურა. INL –ის ორგანიზებით მუდმივად ხდება ბიუროს ექსპერტების დატრენინგება ექსპერტიზის თანამედროვე მეთოდების შესწავლის მიზნით.

INL-ი ასევე ბიუროს აქტიურად უწევს კონსულტაციას ხარისხის მართვის პროცედურების შემუშავებაში, რაც ხელს შეუწყობს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში ISO:17025 საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნების დანერგვას.

სასამართლო ექსპერტიზის დაწესებულებათა ევროპული ქსელი (ENFSI):

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ლაბორატორიები გაწევრიანებული არიან სასამართლო ექსპერტიზის დაწესებულებათა ევროპული ქსელის (ENFSI) სამუშაო ჯგუფებში:

- დნმ-ის სამუშაო ჯგუფი (DNA Working Group)
- ნარკოტიკების სამუშაო ჯგუფი (Drugs Working Group)
- მინისა და ლაქსაღებავების სამუშაო ჯგუფი (Paint and Glass Working Group)

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს გაწევრიანებული ლაბორატორიები აქტიურად მონაწილეობენ ENFSI–ის სამუშაო ჯგუფების მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო სამუშაო შეხვედრებზე და ლაბორატორიების სატესტიფიკაციო ტესტირებაში.

ჰოლანდიური საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია - ფონდი „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში“:

„გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში“ ფონდის დახმარებით დაპროექტდა და აღიჭურვა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ფსიქიატრიული ექსპერტიზის დეპარტამენტის ახალი შენობა.

ასევე ფონდის დახმარებით ბიუროს ექსპერტთათვის პერიოდულად ტარდება სასწავლო სწავლებები სასამართლო ფსიქიატრიის აქტუალური საკითხების სფეროში.

თურქეთის სასამართლო მედიცინის საბჭო (Adli Tip Kurumu):

ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, მიმდინარეობს სამეცნიერო თანამშრომლობა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსა და თურქეთის სასამართლო მედიცინის საბჭოს შორის, რომლის მიზანია განავითაროს ურთიერთობები სასამართლო ექსპერტიზის სფეროში, გაცვალოს ინფორმაციის, იდეებისა და ცოდნის გაცვლა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსა და თურქეთის სასამართლო მედიცინის საბჭოს ლაბორატორიებს შორის.

სახელმწიფო ექსპერტიზის ბიურო - ლატვია (State Forensic Science Bureau):

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო თანამშრომლობს ლატვიის სახელმწიფო ექსპერტიზის ბიუროსთან მინის, ლაქსაღებავებისა და ბოჭკოების ექსპერტიზის მიმართულებით. თანამშრომლობა ითვალისწინებს ურთიერთ თანამედროვე მეთოდებზე ინფორმაციისა და ლიტერატურის გაზიარებას და სამეცნიერო გაცვლითი პროგრამების ორგანიზებას.

ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო (IAEA):

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო თანამშრომლობს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოსთან, რომელიც უზრუნველყოფს ბიუროს ექსპერტების გადამზადებას გარემოს ხარისხის მონიტორინგის საკითხებში. სწავლება მიმდინარეობს შესაბამისი თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

INFO@EXPERTIZA. GOV.GE

WWW.EXPERTIZA.GOV.GE

თბილისი 0162, ჭავჭავაძის გამზ. №84
84 Chavchavadze ave. Tbilisi 0162
ქუთაისი 4600, ჭავჭავაძის ქ. №2ა
Chavchavadze str #2a Kutaisi 4600
ბათუმი 6000, მელიქიშვილის ქ. №102
102 P.Melikishvili str. Batumi 6000

(995 32) 225 84 84
info@expertiza.gov.ge

შპს "პროგრესი"

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, ი. აბაშიძის №87-ში (ყოფილი ბარნოვის ქ. №183) მშენებარე მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობისას მომიჯნავე შენობებზე სავარაუდო გავლენის შეფასება

შპს "პროგრესი"–ს

დირექტორი ჯ. გიგინეიშვილი

თბილისი 2015

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, ი. აბაშიძის №87-ში (ქოფილი ბარნოვის ქ. №183) მშენებარე მრავალფუნქციური კომპლექის მშენებლობისას მომიჯნავე შენობებზე სავარაუდო გავლენის შეფასება

ექსპერტები:

ინჟინერ-მშენებელი,

მშენებლობის ექსპერტთა საქართველოს ასოციაციის წევრი,

შენობა-ნაგებობათა ავტომატიზებული მეთოდებით

კვლევისა და პროექტირების ინჟინერი,

ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ჯონი გიგინეიშვილი

საქართველოს დამსახურებული ინჟინერი,

ინჟინერ-მშენებელი როლანდ მიქაუტაძე

ინჟინერ-მშენებელი თემურ მაცაბერიძე

თბილისი 2015

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, ი. აბაშიძის №87-ში მშენებარე მრავალფუნქციური შენობის მშენებლობისას, კომპლექის მშენებლობისას მომიჯნავე შენობებზე სავარაუდო გავლენის შეფასება

შ.პ.ს **"ჰაუსარტ ლუქსი"**-სთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე "შ.პ.ს" „პროგრესი"-ს თანამშრომლების მიერ განხორციელდა ქ. თბილისში ი. აბაშიძის (ყოფილი ბარნოვის ქ. №183)-ში მრავალსართულიანი მრავალფუნქციური კომპლექსის პროექტის მშენებლობისას პროცესში მომიჯნავე შენობებზე სავარაუდო გავლენის შესწავლა და შესრულებლია ექსპერტიზა.

ზემოთ ჩამოთვლილი საკითხის გადაწყვეტისათვის დამკვეთის მიერ წარმოდგენილია:

— ქ. თბილისში, ი. აბაშიძის (ყოფილი ბარნოვის ქ. №183)-ში მრავალსართულიანი მრავალფუნქციური შენობის მშენებლობის უბანზე ჩატარებული დამატებითი საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები (1 ალბომი). შემსრულებელი: შპს "ახალი საქქალაქმშენპროექტი". 2015წ. დირექტორი - ბ. მირიანაშვილი, საინჟინრო გეოლოგიური კვლევების უფროსი – ს. სირაძე;
— შენობის პროექტის არქიტექტურული ნაწილი, შესრულებულია შპს "HAUSART"-ის მიერ. ავტორები: დ. გოგიჩაიშვილი, გ. გოგოლაშვილი, ი. ჩირაძე. საპროექტო დოკუმენტაცია წარმოდგენილია 1 ალბომის სახით, რომელიც შედგება რამდენიმე ნაწილისგან:
    ა) კორექტირებული არქიტექტურული ნაწილი -24 ფურცელი.
    ბ) კონსტრუქციული ნაწილი (მუშა პროექტი) – 126 ფურცელი.
    შემსრულებელი ინჟინრები: ო. ქვრივიშვილი, ლ. ჩოფიკაშვილი.
— კომპიუტერული მოდელირებისა და გააანგარიშებათა შედეგების ელექტრონული ვერსიები;
— მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი. შემსრულებელი შპს **"ჰაუსარტ ლუქსი"**. პროექტის ავტორი: გ. კელაურიძე და ბ. გოგოლაური;
— მომიჯნავე შენობის (ი. აბაშიძის ქ. №85)-ში მრავალსართულიანი შენობის არქიტერქორული პროექტი;
— მიმდებარედ არსებული 3სართულიანი შენობის არქივიდან ამოღებული მასალები.

ქ.თბილისში, აბაშიძის ქ., #87 (ყოფილი ბარნოვის ქ., #183) მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობისას მომიჯნავე შენობებზე სავარაუდო გავლენის შეფასება.

საპროექტო შენობას ესაზღვრება:

— ჩრდილოეთიდან - მუხაძის ქუჩა;

— აღმოსავლეთიდან - 3-სართ. საცხოვრებელი სახლი სარდაფით („1“-ლი ღერძის გასწვრივ);

— სამხრეთიდან - აბაშიძის ქ;

— დასავლეთიდან - 10-სართ. კარკასულ-კავშირებიანი ტიპის საცხოვრებელი სახლი სარდაფით (მე-„4“-ე ღერძის გასწვრივ) .

საპროექტო შენობის კორექტირებული ვარიანტის კონსტრუქციული ნაწილის ძირითადი მზიდი ელემენტების დახასიათება:

— შენობის მზიდი ჩონჩხი წარმოადგენს რკ/ბეტონის მონოლითურ კარკასულ-კავშირებიან სისტემას (სართულსშუა რკ/ბეტ. მონოლითური გადახურვის ფილების, რკ/ბეტ. მონოლითური დიაფრაგმების, რკ/ბეტ. სვეტებისა და მონოლითური რკ/ბეტ. კიბეების ერთობლიობა);

— საპროექტო შენობის მიმდებარედ არსებულ შენობებზე საპროექტო შენობისაგან უარყოფითი ზეგავლენის გამორიცხვის მიზნით (მისი მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროცესში), საპროექტო შენობის საძირკველი გადაწყვეტილია, რომ განთავსდეს ფაქტობრივად უკუმშვად გრუნტზე (მაღალი სიმტკიცის ძირითად ქანებზე) დასმით და წარმოადგენს მონოლითური რკინაბეტონის ნაბურღ-ნატენი ხიმინჯების სისტემას, რომელთა შორის:

- **ხმ-1**-ით განზრახულია საპროექტო შენობისა და მის მიმდებარედ არსებულ შენობებს შორის გამმიჯნავი ფარდის მოწყობა (მესერი);
- ნაბურღ-ნატენი **ხმ-2** - წარმოადგენს საძირკვლის ფუძეს, გაერთიანებულს რკ/ბეტ. ფილით, რომელიც ეყრდნობა ნაკლებად გამოფიტული არგელიტების და თიხოვანი ქვაქვიშების მორიგეობით აგებულ ძირითად ქანებს და მათშია ჩაანკერებული.

დასკვნა

აბაშიძის ქ., #87 შენობის წარმოდგენილი კორექტირებული საპროექტო გადაწყვეტები უზრუნველყოფს მის მდგრადობას და უსაფრთხოებას.

რაც შეეხება მშენებლობის პროცესში *წარმოქმნილ სიტუაციას*, ის ვერ მოახდენს გავლენას მეზობელ (მომიჯნავე) სახლებზე, ვინაიდან კორექტირებული პროექტით გათვალისწინებულია კიდული ხიმინჯების ნაცვლად დგარი ტიპის ხიმინჯების გამოყენება, რომლებიც თავის მხვრივ ჩაანკერებულია ძირითად (პრაქტიკულად უკუმშვად) ქანებში, ხოლო არსებულ და მშენებარე შენობათა საზღვრებს შორის (სასაზღვრო ზოლებში), პროექტის მიხედვით განსაზღვრულია მონოლითური რკ/ბეტ. გამმიჯნავი ხიმინჯების (**ხმ-1**-ის) ფარდა, რაც გამორიცხავს დამატებითი ძაბვების არსებულ შენობათა საძირკვლებზე გადაცემას.

მშენებლობის პროცესში აუცილებლად მიგვაჩნია:

— სრულად იქნას გათვალისწინებული მშენებლობის ორგანიზაციისპროექტის მოთხოვნები, კერძოდ: - მანქანა-მექანიზმების, სამშენებლო დანადგარების, ინსტრუმენტების, ამწეების პროექტით რეკომენდებული პარამეტრების შესაბამისად გამოყენება;

— ხიმინჯების მოწყობა განხორციელდეს მხოლოდ დანადგარით;

ასის ზემოთ და არ დასწყობით ვერტიკალი, ასის თიხოვანი ქვეშ.

— გამოირიცხოს მშენებლობის პროცესში მიწის სამუშაოებისას და შემდგომ ვიბრაციის გამომწვევი დანადგარების გამოყენება, სამუშაოთა ჩატარება განხორციელდეს ეტაპობრივობის სრული დაცვით;
— მომიჯნავე შენობებზე ბურღვის პროცესში მოსალოდნელი აჩქარებებისა და მცირე რხევების დასაფიქსირებლად, განხორციელდეს მათზე სენსორების დამაგრება და დაწესდეს მონაცემების მონიტორინგი.

წარმოდგენილი შენობის პროექტით განსაზღვრული დაფუძნების უზრუნველყოფს მიმდებარედ არსებული შენობების მდგრადობას და არ გამოიწვევს მათ კონსტრუქციულ ელემენტებში დამატებით დეფორმაციებსა და ძაბვებს, რაც გარანტიაა არსებულ შენობებისათვის მდგრადობის, მედეგობისა და ნორმალური საექსპლუატაციო პირობების შენარჩუნებისათვის.

ექსპერტები:

ინჟინერ-მშენებელი,

მშენებლობის ექსპერტთა საქართველოს ასოციაციის წევრი,

შენობა-ნაგებობათა ავტომატიზებული მეთოდებით

კვლევისა და პროექტირების ინჟინერი,

ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ჯონი გიგინეიშვილი

საქართველოს დამსახურებული ინჟინერი,

ინჟინერ-მშენებელი როლანდ მიქაუტაძე

ინჟინერ-მშენებელი თემურ მაცაბერიძე

ქ. თბილისი
13.07.2015წ.

შპს "პროგრესი"

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, ი. აბაშიძის №87-ში (ყოფილი ბარნოვის ქ. №183) მშენებარე მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობისას მომიჯნავე შენობებზე სავარაუდო გავლენის შეფასება

შპს "პროგრესი"–ს
დირექტორი ჯ. გიგინეიშვილი

თბილისი 2015

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, ი. აბაშიძის №87-ში (ყოფილი ბარნოვის ქ. №183) მშენებარე მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობისას მომიჯნავე შენობებზე სავარაუდო გავლენის შეფასება

ექსპერტები:

ინჟინერ-მშენებელი,

მშენებლობის ექსპერტთა საქართველოს ასოციაციის წევრი,

შენობა-ნაგებობათა ავტომატიზებული მეთოდებით

კვლევისა და პროექტირების ინჟინერი,

ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ჯონი გიგინეიშვილი

საქართველოს დამსახურებული ინჟინერი,

ინჟინერ-მშენებელი როლანდ მიქაუტაძე

ინჟინერ-მშენებელი თემურ მაცაბერიძე

თბილისი 2015

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, ი. აბაშიძის №87-ში მშენებარე მრავალფუნქციური შენობის მშენებლობისას, კომპლექის მშენებლობისას მომიჯნავე შენობებზე სავარაუდო გავლენის შეფასება

შ.პ.ს "ჰაუსარტ ლუქსი"-სთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე "შ.პ.ს" „პროგრესი"-ს თანამშრომლების მიერ განხორციელდა ქ. თბილისში ი. აბაშიძის (ყოფილი ბარნოვის ქ. №183)-ში მრავალსართულიანი მრავალფუნქციური კომპლექსის პროექტის მშენებლობისას პროცესში მომიჯნავე შენობებზე სავარაუდო გავლენის შესწავლა და შესრულებლია ექსპერტიზა.

ზემოთ ჩამოთვლილი საკითხის გადაწყვეტისათვის დამკვეთის მიერ წარმოდგენილია:

- ქ. თბილისში, ი. აბაშიძის (ყოფილი ბარნოვის ქ. №183)-ში მრავალსართულიანი მრავალფუნქციური შენობის მშენებლობის უბანზე ჩატარებული დამატებითი საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები (1 ალბომი). შემსრულებელი: შპს "ახალი საქქალაქმშენპროექტი". 2015წ. დირექტორი - ბ. მირიანაშვილი, საინჟინრო გეოლოგიური კვლევების უფროსი – ს. სირაძე;
- შენობის პროექტის არქიტექტურული ნაწილი, შესრულებულია შპს "HAUSART"-ის მიერ. ავტორები: დ. გოგიჩაიშვილი, გ. გოგოლაშვილი, ი. ჩირაძე. საპროექტო დოკუმენტაცია წარმოდგენილია 1 ალბომის სახით, რომელიც შედგება რამდენიმე ნაწილისგან:
  - ა) კორექტირებული არქიტექტურული ნაწილი -24 ფურცელი.
  - ბ) კონსტრუქციული ნაწილი (მუშა პროექტი) – 126 ფურცელი.
    შემსრულებელი ინჟინრები: ო. ქვრივიშვილი, ლ. ჩოფიკაშვილი.
- კომპიუტერული მოდელირებისა და გააანგარიშებათა შედეგების ელექტრონული ვერსიები;
- მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი. შემსრულებელი შპს "ჰაუსარტ ლუქსი". პროექტის ავტორი: გ. კელაურიძე და ბ. გოგოლაური;
- მომიჯნავე შენობის (ი. აბაშიძის ქ. №85)-ში მრავალსართულიანი შენობის არქიტერქორული პროექტი;
- მიმდებარედ არსებული 3სართულიანი შენობის არქივიდან ამოღებული მასალები.

ქ.თბილისში, აბაშიძის ქ., #87 (ყოფილი ბარნოვის ქ., #183) მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობისას მომიჯნავე შენობებზე სავარაუდო გავლენის შეფასება.

საპროექტო შენობას ესაზღვრება:

— ჩრდილოეთიდან - მუხაძის ქუჩა;

— აღმოსავლეთიდან - 3-სართ. საცხოვრებელი სახლი სარდაფით („1“-ლი ღერძის გასწვრივ);

— სამხრეთიდან - აბაშიძის ქ;

— დასავლეთიდან - 10-სართ. კარკასულ-კავშირებიანი ტიპის საცხოვრებელი სახლი სარდაფით (მე-„4“-ე ღერძის გასწვრივ) .

საპროექტო შენობის კორექტირებული ვარიანტის კონსტრუქციული ნაწილის ძირითადი მზიდი ელემენტების დახასიათება:

— შენობის მზიდი ჩონჩხი წარმოადგენს რკ/ბეტონის მონოლითურ კარკასულ-კავშირებიან სისტემას (სართულსშუა რკ/ბეტ. მონოლითური გადახურვის ფილების, რკ/ბეტ. მონოლითური დიაფრაგმების, რკ/ბეტ. სვეტებისა და მონოლითური რკ/ბეტ. კიბეების ერთობლიობა);

— საპროექტო შენობის მიმდებარედ არსებულ შენობებზე საპროექტო შენობისაგან უარყოფითი ზეგავლენის გამორიცხვის მიზნით (მისი მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროცესში), საპროექტო შენობის საძირკველი გადაწყვეტილია, რომ განთავსდეს ფაქტობრივად უკუმშვად გრუნტზე (მაღალი სიმტკიცის ძირითად ქანებზე) დასმით და წარმოადგენს მონოლითური რკინაბეტონის ნაბურღ-ნატენი ხიმინჯების სისტემას, რომელთა შორის:

- ხმ-1-ით განზრახულია საპროექტო შენობისა და მის მიმდებარედ არსებულ შენობებს შორის გამმიჯნავი ფარდის მოწყობა (მესერი);
- ნაბურღ-ნატენი ხმ-2 - წარმოადგენს საძირკვლის ფუძეს, გაერთიანებულს რკ/ბეტ. ფილით, რომელიც ეყრდნობა ნაკლებად გამოფიტული არგელიტების და თიხოვანი ქვაქვიშების მორიგეობით აგებულ ძირითად ქანებს და მათშია ჩაანკერებული.

დასკვნა

აბაშიძის ქ., #87 შენობის წარმოდგენილი კორექტირებული საპროექტო გადაწყვეტები უზრუნველყოფს მის მდგრადობას და უსაფრთხოებას.

რაც შეეხება მშენებლობის პროცესში *წარმოქმნილ სიტუაციას*, ის ვერ მოახდენს გავლენას მეზობელ (მომიჯნავე) სახლებზე, ვინაიდან კორექტირებული პროექტით გათვალისწინებულია კიდული ხიმინჯების ნაცვლად დგარი ტიპის ხიმინჯების გამოყენება, რომლებიც თავის მხვრივ ჩაანკერებულია ძირითად (პრაქტიკულად უკუმშვად) ქანებში, ხოლო არსებულ და მშენებარე შენობათა საზღვრებს შორის (სასაზღვრო ზოლებში), პროექტის მიხედვით განსაზღვრულია მონოლითური რკ/ბეტ. გამმიჯნავი ხიმინჯების (ხმ-1-ის) ფარდა, რაც გამორიცხავს დამატებითი ძაბვების არსებულ შენობათა საძირკვლებზე გადაცემას.

მშენებლობის პროცესში აუცილებლად მიგვაჩნია:

— სრულად იქნას გათვალისწინებული მშენებლობის ორგანიზაციისპროექტის მოთხოვნები, კერძოდ: - მანქანა-მექანიზმების, სამშენებლო დანადგარების, ინსტრუმენტების, ამწეების პროექტით რეკომენდებული პარამეტრების შესაბამისად გამოყენება;

— ხიმინჯების მოწყობა განხორციელდეს შნეკური დანადგარით;

— გამოირიცხოს მშენებლობის პროცესში მიწის სამუშაოებისას და შემდგომ ვიბრაციის გამომწვევი დანადგარების გამოყენება, სამუშაოთა ჩატარება განხორციელდეს ეტაპობრივობის სრული დაცვით;
— მომიჯნავე შენობებზე ბურღვის პროცესში მოსალოდნელი აჩქარებებისა და მცირე რხევების დასაფიქსირებლად, განხორციელდეს მათზე სენსორების დამაგრება და დაწესდეს მონაცემების მონიტორინგი.

წარმოდგენილი შენობის პროექტით განსაზღვრული დაფუძნების უზრუნველყოფს მიმდებარედ არსებული შენობების მდგრადობას და არ გამოიწვევს მათ კონსტრუქციულ ელემენტებში დამატებით დეფორმაციებსა და ძაბვებს, რაც გარანტიაა არსებულ შენობებისათვის მდგრადობის, მედეგობისა და ნორმალური საექსპლუატაციო პირობების შენარჩუნებისათვის.

ექსპერტები:

ინჟინერ-მშენებელი,

მშენებლობის ექსპერტთა საქართველოს ასოციაციის წევრი,

შენობა-ნაგებობათა ავტომატიზებული მეთოდებით

კვლევისა და პროექტირების ინჟინერი,

ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ჯონი გიგინეიშვილი

საქართველოს დამსახურებული ინჟინერი,

ინჟინერ-მშენებელი როლანდ მიქაუტაძე

ინჟინერ-მშენებელი თემურ მაცაბერიძე

ქ. თბილისი
13.07.2015წ.

შ.პ.ს. „ედრი +“



კ ო ნ ს ტ რ უ ქ ც ი უ ლ ი დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისში, ირ. აბაშიძის ქ. №87-ში, შპს „ჰაუსარტ-ლუქსი“-ს (ს/კ: 205255551) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. №01.14.11.023.035) მშენებარე „მრავალფუნქციური შენობა“-ს სამეზობლო მიჯნაზე არსებული შენობების კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ

თბილისი 2020 წ.

კონსტრუქციული დასკვნა

ქ. თბილისში, ირ. აბაშიძის ქ. №87-ში, შპს „ჰაუსარტ-ლუქსი“-ს (ს/კ: 205255551) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. №01.14.11.023.035) მშენებარე „მრავალფუნქციური შენობა“-ს სამეზობლო მიჯნაზე არსებული შენობების კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ

ქ. თბილისი 2020 წლის 01 ივნისი

წინამდებარე კვლევა შესრულებულია შპს „ჰაუსარტ-ლუქსი“-სა და შპს „ედრი+“-სს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად და ითვალისწინებს კონსტრუქციული დასკვნის მომზადებას ქ. თბილისში, ირ. აბაშიძის ქ. №87-ში მშენებარე „მრავალფუნქციური შენობა“-ს სამეზობლო მიჯნაზე არსებული, ირ. აბაშიძის ქ. №85-ში და ირ. აბაშიძის ქ. №89-ში მდებარე საცხოვრებელი სახლების შენობების ტექნიკური მდგომარეობის დაფიქსირებას ირ. აბაშიძის ქ. №87-ში მშენებარე შენობის ქვაბულის გარშემო, საპროექტო ტერიტორიაზე, მისი ფერდისა და მომიჯნავე შენობების დაცვის მიზნით ნაბურღ-ნატენი რკინაბეტონის ხიმინჯების მესერის (ე.წ. „შპუნტური კედელი“) მოწყობის დროს და მათზე ზეგავლენის განსაზღვრას.

კვლევის დროს შესწავლილ და გამოყენებულ იქნა დამკვეთის მიერ მოწოდებული შემდეგი მასალები:

– შპს „ზნიეპი“-ს მიერ 2019 წლის 23 სექტემბრიდან 2020 წლის 23 მარტამდე ჩატარებული „ქ. თბილისში, ირ. აბაშიძის ქ. №87-ში მშენებარე საცხოვრებელი სახლი საძირკვლის ხიმინჯებისთვის ჭაბურღილების ბურღვის პროცესში წარმოშობილი ვიბრაციების ინტენსივობის შეფასება (ე.წ. ბალიანობის განსაზღვრა)“.

– ჭაბურღილების და გამზომი ხელსაწყოების განლაგების სქემა. დანართი №1.

– ოსცილოგრამები. დანართი №2.

– გრუნტის რხევების რიცხვითი მახასიათებლები სხვადასხვა ინტენსივობის მიწისძვრისათვის MSK-64 სკალის მიხედვით

გამოკვლევა

კვლევითი სამუშაოები ჩატარდა „საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროს“ მიერ 1992 წელს

გამოცემული – „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების გამოკვლევისა და სეისმომედეგობის თვალსაზრისით მათი ტექნიკური მდგოარეობის დადგენის ინსტრუქციისა“ და СП-13-102-2003-ის „შენობებისა და ნაგებობების მზიდი სამშენებლო კონსტრუქციების გამოკვლევის წესები“-ს მოთხოვნათა გათვალისწინებით. ჩვენს მიერ ვიზუალურად შესწავლილ იქნა ზემოაღნიშნული შენობების ტექნიკური მდგომარეობა. შენობების გამოკვლევისდროინდელი მდგომარეობა დაფიქსირებულია დანართის სახით თანდართულ ფოტომასალაზე.

მშენებარე შენობის ტერიტორიას ესაზღვრება: აღმოსავლეთიდან – სამეზობლო მიჯნაზე მდებარე მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით № 01.14.11.023.036 მასზე განთავსებული 10-სართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი [შენობა 01(10)] საკადასტრო გეგმის მიხედვით (ირ. აბაშიძის ქ. №85), ხოლო დასავლეთიდან – სამეზობლო მიჯნაზე მდებარე მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით № 01.14.11.023.002 მასზე განთავსებული 5-სართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლით (ირ. აბაშიძის ქ. №89).

საპროექტო ტერიტორიაზე არსებული შენობის დემონტაჟის შემდეგ თვალნათლივ გამოჩნდა სამეზობლო მიჯნაზე, ირ. აბაშიძის ქ. №85-ში მდებარე 10-სართულიანი სახლის დასავლეთის ფასადისა და ირ. აბაშიძის ქ. №89-ში მდებარე 5-სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აღმოსავლეთის ფასადის კედლების რეალური მდგომარეობა. არსებული შენობის დემონტაჟის შედეგად მის კონსტრუქციულ ელემენტებზე რაიმე სახის დაზიანება ან დეფორმაციები არ დაფიქსირებულა. იგივე მდგომარეობა შენარჩუნდა როგორც ქვაბულის გარშემო ხიმინჯების მესერის (ე. წ. „შპუნტური კედელი“), ასევე საძირკვლებისთვის ნაბურღ-ნატენი ხიმინჯების მოწყობის შემდეგაც, რასაც მოწმობს ორთავე შენობის ფასადებზე დაყენებული თაბაშირის ყალაურების მდგომარეობა. ყალაურების დაყენების თარიღად მინიშნებულია 2019 წლის 28 სექტემბერი, როდესაც დაიწყო ხიმინჯების მოწყობის სამუშაოები, ხოლო სამუშაოს ზედამხედველის გადმოცემით მათზე დაკვირვებები ხორციელდებოდა რეგულარულად. ჩვენს მიერ კვლევის ჩატარების დროს ნაბურღ-ნატენი რკინაბეტონის ხიმინჯების მოწყობის სამუშაოები მთლიანად დასრულებულია და ყალაურების ზედაპირები ყველგან დაუზიანებელია. (ყალაურების გამოკვლევისდროინდელი მდგომარეობა ჩვენს მიერ დაფიქსირდა ფოტომასალაზე, რომელიც დანართის სახით თან ახლავს კონსტრუქციულ დასკვნას).

ხარისხიანად და უსაფრთხოების მოთხოვნების გათვალისწინებით შესრულებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების პირობებში დაცული იქნება ქ. თბილისში, ირ. აბაშიძის ქ. №87-ში (მიწის საკადასტრო კოდი №

01.14.11.023.035) მშენებარე „მრავალფუნქციური შენობა“-ს სამეზობლო მიწაზე არსებული შენობების კონსტრუქციული ელემენტების მზიდუნარიანობა და მდგრადობა და შესაძლებელი იქნება მათი უსაფრთხო ექსპლოატაცია ახალი მშენებლობის დასრულების შემდეგაც.

შპს „ედრი+“-ის დირექტორი ი. ანწკავა

ექსპერტი, ინჟინერ-კონსტრუქტორი რ. აფხაძე



სამეზობლო მიჯნაზე, ირ. აბაშიძის ქ. №85-ში მდებარე 10-სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დასავლეთის ფასადი საპროექტო ტერიტორიაზე არსებული შენობის დემონტაჟის შემდეგ



სამეზობლო მიჯნაზე, ირ. აბაშიძის ქ. №89-ში მდებარე 5-სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აღმოსავლეთის ფასადი საპროექტო ტერიტორიაზე არსებული შენობის დემონტაჟის შემდეგ



ირ. აბაშიძის ქ. №85-ში მდებარე 10-სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დასავლეთის ფასადის კედელზე დაყენებული ყალაურის მდებარეობა



და ყალაურის მდგომარეობა (ყალაურების ზედაპირი დაუზიანებელია)



ირ. აბაშიძის ქ. №89-ში მდებარე 5-სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აღმოსავლეთის ფასადის კედელზე დაყენებული ყალაურის მდებარეობა



და ყალაურის მდგომარეობა (ყალაურების ზედაპირი დაუზიანებელია)

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, ირ. აბაშიძის ქ. №87-ში (ყოფილი ბარნოვის ქ. №183), შ.პ.ს. „ჰაუსარტ-ლუქსი“-ს (ს/კ: 205255551) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. №01.14.11. 023.035) მშენებარე „მრავალფუნქციური შენობა“-ს სამეზობლო მიჯნაზე არსებული შენობების და ნაგებობების კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ

ქ. თბილისი 2019 წლის 20 სექტემბერი

შ.პ.ს. „ჰაუსარტ-ლუქსი“-ს (ს/კ: 205255551) დაკვეთით შესწავლილ იქნა ქ. თბილისში, ირ. აბაშიძის ქ. №87-ში, შ.პ.ს. „ჰაუსარტ-ლუქსი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთის (მიწის საკადასტრო კოდი № 01.14.11.023.035) სამეზობლო მიჯნაზე მდებარე შენობებისა და ნაგებობების კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობა, ზემოხსენებულ ნაკვეთზე დაპროექტებული „მრავალფუნქციური შენობა“-ს მშენებლობის დროს მათზე უარყოფითი ზეგავლენის თავიდან აცილებისა და შენობების შემდგომი უსაფრთხო ექსპლოატაციის მიზნით.

ქ. თბილისში, ირ. აბაშიძის ქ. №87-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე შ.პ.ს. „ჰაუსარტ-ლუქსი“-ს დაგეგმილი აქვს თორმეტსარტულიანი [თორმეტი მიწისზედა და ორი მიწისქვეშა სართულებით], „მრავალფუნქციური შენობა“-ს მშენებლობა. შენობა გეგმაში მარტივი, სწორკუთხა ფორმისაა, გაბარიტული ზომებით 16,10X17,50 მ. (ღერძებში). შენობის მზიდი კონსტრუქციული სქემა კარკასულია. საძირკვლის ტიპებად შერჩეულია მონოლითური რკინაბეტონის ნაბურღ-ნატენი ხიმინჯები, რომლებიც დაფუძნებულია მოშანდაკების ნიშნულიდან 20,0 მ-ის სიღრმეზე განლაგებულ ძირითად ქანებზე. ხიმინჯების თავებზე მოწყობილია მონოლითური რკინაბეტონის როსტვერკი.

საპროექტო შენობის ტერიტორიას ესაზღვრება: ჩრდილოეთიდან – სამეზობლო მიჯნაზე მდებარე მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით №01.14.11.023.012 (მუხაძის ქ. №34ა) მასზე განთავსებული შენობით [შენობა 1(3) საკადასტრო გეგმის მიხედვით] და ტერიტორიის გამმიჯნავი აგურის წყობით აგებული ღობე [საკადასტრო გეგმაზე დაფიქსირებული სამეურნეო დანიშნულების შენობები 2(1); 3(1) და 4(1) უკვე დემონტირებულია], სამეზობლო მიჯნაზე მდებარე ღობე მშენებარე ობიექტის უახლოესი კედლიდან (შენობის კონტურიდან გამოსული კიბის უჯრედის კედელი) დაშორებულია 15,133 მ-ით და მის მდგრადობას საფრთხე არ ემუქრება. სამხრეთიდან ირ. აბაშიძის ქუჩა (რომლის ღერძულა ხაზი მშენებარე ობიექტის წითელი ხაზიდან დაშორებულია 13,0 მ-ით) და მის გასწვრივ: №01.14.11.025.015 საკადასტრო კოდის მქონე მიწის ნაკვეთზე (ირ. აბაშიძის ქ. №84) მდებარე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი [შენობები № 1(1) და 2(1) საკადასტრო გეგმის მიხედვით] და №01.14.11.025.013 საკადასტრო კოდის მქონე მიწის ნაკვეთზე (ირ. აბაშიძის ქ. №82) მდებარე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი [შენობები № 1(1) და 2(1) საკადასტრო

გეგმის მიხედვით], რომლებიც მშენებარე ობიექტის წითელი ხაზიდან დაშორებულია 25,0 მ-ით. საპროექტო ტერიტორიაზე, ქვაბულის გარშემო, მისი ფერდის დაცვის მიზნით უნდა მოეწყოს ნაბურღ-ნატენი ბეტონის და რკინაბეტონის ხიმინჯების მესერი (ე.წ. „შპუნტური კედელი“), რომლის დროსაც წარმოქმნილი მცირე ვიბრაცია ვერ დააზიანებს ქუჩის საფარს და მითუმეტეს ვერავითარ უარყოფით ზეგავლენას ვერ მოახდენს ირ. აბაშიძის ქ. №82-სა და №84-ში მდებარე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების შენობებზე, რომლებიც საკმაო მანძილით არიან დაშორებული საპროექტო ტერიტორიიდან. მხოლოდ ხიმინჯების მესერის მოწყობის შემდეგ უნდა განხორციელდეს ქვაბულის მოწყობის სამუშაოები, რაც იძლევა იმის გარანტიას, რომ საპროექტო ობიექტზე მიმდინარე სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების დროს დაცული იქნება ირ. აბაშიძის ქუჩის საფარი და მის გასწვრივ, ირ. აბაშიძის ქ. №82-სა და №84-ში მდებარე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების შენობების კონსტრუქციული ელემენტების უსაფრთხოება. აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან მდებარე შენობების მდგომარეობა აღწერილია 25.02.19 რიცხვით დათარიღებულ, ჩვენს მიერ დამუშავებულ „საექსპერტო დასკვნა“-ში.

ქ. თბილისში, ირ. აბაშიძის ქ. №87-ში დაპროექტებული შენობის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის №361-ე დადგენილების – „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“-ს მოთხოვნათა დაცვით შერულებული ქვაბულის ფერდის გამაგრებითი სამუშაოები, დაიცავს მის გარშემო მდებარე შენობებსა და ნაგებობებს სამშენებლო-სამონტაჟო პროცესით გამოწვეული ვიბრაციებისა და დინამიური ზემოქმედებებისაგან.

ხარისხიანად და უსაფრთხოების მოთხოვნების გათვალისწინებით შესრულებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების პირობებში დაცული იქნება ქ. თბილისში, ირ. აბაშიძის ქ. №87-ში, შ.პ.ს. „ჰაუსარტ-ლუქსი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (მიწის საკადასტრო კოდი № 01.14.11.023.035) დაპროექტებული „მრავალფუნქციური შენობა“-ს სამეზობლო მიჯნაზე და მის გარშემო არსებული შენობების კონსტრუქციული ელემენტების მზიდუნარიანობა და მდგრადობა და შესაძლებელი იქნება მათი უსაფრთხო ექსპლოატაცია ახალი მშენებლობის დასრულების შემდეგაც.

შ.პ.ს. „ედრი+“-ის დირექტორი ი. მანწკავა

ექსპერტი, ინჟინერ-კონსტრუქტორი რ. აფხაძე

ექსპერტი, ინჟინერ-კონსტრუქტორი მ. გეგია

მისამართი თბილისი მუხიანი I მ/რ კორ. 13 ბ. 146

მოწმობის გამცემი ორგანოს დასახელება სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს გლდანი-ნაძალადევის სამსახური

გაცემის თარიღი 15.11.2010

მოქმედების ვადა 15.11.2020

რეგისტრაციის თარიღი 15.11.2010

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

საქართველო

მოქალაქის პირადობის მოწმობა

პირადი № 01003019723

სახელი რამაზი

გვარი აფხაძე

დაბადების თარიღი 16.07.1949

დაბადების ადგილი ლანჩხუთი



№ ბ 1405779

პირადი ხელმოწერა

დიპლომი

Я № 182258

ეს დიპლომი მიეცა ავხაძე
ხამაზი ნოდარის-ძეს
მასზე, რომ იგი 1968 წელს შევიდა
საქართველოს ვ.ი.ლენინის სახ.
პოლიტექნიკურ ინსტიტუტში
და 1974 წელს დაამთავრა
ადნიშნული ინსტიტუტის
სრული კურსი სპეციალობით
სამრეწველო და სამოქალაქო
მშენებლობა
სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1974 წ.
„29" აპრილის გადაწყვეტილებით
ხ.ნ.ავხაძეს მიენიჭა
ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

რექტორი

მდივანი

ქალაქი თბილისი „5" ივნისი 1974წ.

სარეგისტრაციო № სდ 3557

Грузинский яз.

ДИПЛОМ

Я № 182258

Настоящий диплом выдан Ахаазе
Рамазу Нодаровичу
в том, что он в 1968 году поступил
в Грузинский политехнический
ин-т им. В.И. Ленина
и в 1974 году окончил полный курс
названного института
по специальности
Промышленное и гражданское
строительство
Решением Государственной экзаменационной
комиссии от „29" июня 1974 г.
присвоена квалификация
инженера-строителя

Председатель Государственной экзаменационной комиссии

Ректор

Секретарь

М.П. Город Тбилиси „5" VI 1974 г.

Регистрационный № сд. 3557

Московская типография Гознака. 1972.

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის ნომერი:	468011
განაცხადის რეგისტრაციის ნომერი:	B12046018
ამონაწერის მომზადების თარიღი:	05/04/2012 16:44:10

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს ედრი +
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ვაჟა ფშაველას გამზ., №45, კორ.24, ბ.21
საიდენტიფიკაციო კოდი:	205271356
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი:	23/01/2009
მარეგისტრირებელი ორგანო:	თბილისის საგადასახადო ინსპექცია
საგადასახადო ინსპექცია:	თბილისის რეგ.ცენტრი ვაკე-საბურთალოს გ-ბა

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები

- 01009022775, ირაკლი მანწკავა,
  დირექტორი, ,

პარტნიორები

	წილი	ანგარიშის ნომერი
01009022775, ირაკლი მანწკავა,	50.00000000%	205271356-SH-00001
01003019723, რამაზი აფხაძე,	50.00000000%	205271356-SH-00002

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება:

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, შესაძლებელია სარეგისტრაციო სამსახურში მოსვლის გარეშე, ელექტრონულად წარმოადგინოთ განცხადება: http://public.reestri.gov.ge ან დაგვიკავშირდეთ: 2 405 405; 595 33 71 81; შესწორებული ამონაწერის მიღება შეგიძლიათ ვებ გვერდზე, ელექტრონულად, ასევე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურსა და ლიბერთი ბანკის ნებისმიერ ფილიალში.

CV

რამაზ აფხაძე



ეროვნება: ქართველი
სქესი: მამრობითი
დაბადების თარიღი: 16.07.1949 წ.
ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული
კონტაქტი: ტელ: 2 63 22 52
მობ: 577 757 028; 571 490 107
5.98 922 254
E-mail: shuxuteli@yahoo.com
shuxuteli@gmail.com

სამუშაო გამოცდილება

შ.პ.ს. "ტანდემი"	- დირექტორი 2011 წლიდან.
შ.პ.ს. "ედრი+"	- მთავარი ინჟინერი 2009 წლიდან.
სხვადასხვა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები:	- საცხოვრებელი; სამრეწველო და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობათა პროექტირება 1993 წლიდან. - მშენებლობის საავტორო ზედამხედველობა 1998 წლიდან. - პროექტების ექსპერტიზა და შენობა-ნაგებობათა მდგომარეობის გამოკვლევის საექსპერტო შეფასება 2000 წლიდან. - სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები 2006 წლიდან
სსრკ ელექტროტექნიკური მრეწველობის საპროექტო -საკონსტრუქტორო ბიურო, "რემმშენპროექტი"	- წამყვანი კონსტრუქტორიდან განყოფილების უფროსის თანამდებობამდე. 1976-1993.
ქ. თბილისის საპროექტო ინსტიტუტი „თბილზნიიეპი"	- კონსტრუქტორი. 1973-1976.

გარდა ზემოაღნიშნულისა 2006 წლიდან დარეგისტრირებული ვარ საქართველოს ეკონომიკური და მდგრადი განვითარების სამინისტროში განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების ექსპერტად პროექტების კონსტრუქციულ ნაწილში - 2006 წლიდან და შენობათა მდგომარეობის გამოკვლევა – 2009 წლიდან.

2015 წელს ამირჩიეს საქართველოს საინჟინრო აკადემიაში მრჩევლად

განათლება: 1967-1974. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. სპეციალობა-სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა.

ენები: ქართული – მშობლიური; რუსული – სრულყოფილად.

კომპიუტერული ცოდნა: Windows Ms; Word; Excel; AutoCAD; Internet Explorer.

სხვადასხვა: ა/მანქანის მართვის „B" კატეგორია.

შ.პ.ს. „ედრი+“-ის მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოების ჩამონათვალი:

- “ქ. თბილისში, 26 მაისის სახელობის მოედანი №1-ში მდებარე სასტუმრო “აჭარა”-ს არსებული შენობის ძირითადი კონსტრუქციული ელემენტების საექსპერტო შეფასება და შესაბამისი დასკვნის მომზადება. 2009 წლის 16 თებერვალი
- ქ. თბილისში, თორნიკე ერისთავის ქუჩაზე, მეტროს სადგურ “დიდუბე”-ს მიმდებარედ, შ.პ.ს. “კარდენახი”-ს მრავალფუნქციური, საზოგადოებრივი დანიშნულების შენობის კონსტრუქციული ნაწილის ექსპერტიზა. 2009 წლის 20 თებერვალი.
- ქ. ბორჯომში მდებარე ყოფილი კომპოზიტორთა კავშირის დასასვენებელი სახლის კონსტრუქციული ელემენტების საექსპერტო შეფასება და შესაბამისი დასკვნის მომზადება. 2009 წლის 07 ივლისი.
- “ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის გამზ. №127-ში მდებარე “საქართველოს მუსიკალური ცენტრი”-ს არსებული შენობის კონსტრუქციული ელემენტების საექსპერტო შეფასება”. 2009 წლის 10 ივლისი.
- ქ. თბილისში, გორგასლის ქ. №40-ში მდებარე “მრავალფუნქციური კომპლექსის საცხოვრებელი ზონის პროექტი”-ს კონსტრუქციული ნაწილის ექსპერტიზა. 2009 წლის 11 ივნისი.
- “დასკვნა ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქ. №6-ში მდებარე შ.პ.ს. “თეგეტა მოტორსი”-ს ავტოსერვისცენტრის არსებული შენობის კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ”. 2010 წლის 04 იანვარი.
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ჩაქვში, თამარ მეფის ქუჩის მიმდებარედ შ.პ.ს. “მათე- მოტორსი”-ს ავტოცენტრის პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ექსპერტიზა. 2010 წლის 01 თებერვალი.
- “ქ. თბილისში, ც. დადიანის ქ. №271/281-ში მშენებარე მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლის კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობის შეფასება”. 2010 წლის 10 მაისი.
- ქ. ბათუმში, ჭავჭავაძის ქ. №113-ში მდებარე მრავალფუნქციური, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ექსპერტიზა. 2010 წლის 10 მაისი.
- ქ. თბილისში, გორგასლის ქ. №10-ში მდებარე მრავალფუნქციური კომპლექსის პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ექსპერტიზა. 2010 წლის 04 ივლისი.
- “ქ. თბილისში, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობის (ფალიაშვილის/მოსაშვილის 85/24) კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობის საექსპერტო დასკვნის მომზადება”. 2010 წლის 13 აგვისტო.
- ქ. ფოთში, ლარნაკას ქუჩაზე მდებარე შ.პ.ს. “თეგეტა-მოტორსი”-ს ავტოსერვის ცენტრის კორექტირებული პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ექსპერტიზა. 2010 წლის 03 სექტემბერი.

– ქ. თბილისში, მახათას მთაზე, 50 მ. სიმაღლის საკომუნიკაციო ანძის პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ექსპერტიზა. 2010 წლის 25 ნოემბერი.
– ქ. ფოთში, ლარნაკას ქ. №7-ში მდებარე "სასაწყობე, სამაცივრე მეურნეობის პროექტი"-ს კონსტრუქციული ნაწილის ექსპერტიზა. 2011 წლის 15 იანვარი.
– ქობულეთის რაიონის დაბა ჩაქვში, მიგინეიშვილის ქ. №2-ის მიმდებარედ "სასტუმრო, საბანკეტო დარბაზი და კომერციული ობიექტი"-ს პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ექსპერტიზა. 2011 წლის 10 თებერვალი.
– ქ. თბილისში, ცოტნე დადიანის ქ. №16/18-ში მდებარე მრავალფუნქციური ობიექტის კონსტრუქციული ნაწილის ექსპერტიზა. 2011 წლის 08 აგვისტო.
– ქ. ქობულეთში (ვილა-ქობულეთი-საქართველო) მრავალფუნქციური სახლის პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ექსპერტიზა. 2011 წლის 09 დეკემბერი.
–"ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზ. №1-ში მდებარე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I-კორპუსის არსებულ შენობაში ბიბლიოთეკისა და რესურსცენტრის კონსტრუქციების შესწავლა და დასკვნა-რეკომენდაციის მომზადება". 2011 წლის 30 დეკემბერი.
– "154 კვ. ძაბვის საჰაერო ელექტრო გადამცემის ხაზი "ჭოროხი"-ს პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ექსპერტიზა. 2012 წლის 26 მარტი.
– ქ. თბილისში, ნუცუბიძე-ვაშლიჯვარის გზატკეცილზე (მ. მაჭავარიანის ქუჩა) მდებარე"საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ადმინისტრაციული შენობის პროექტი"-ს კონსტრუქციული ნაწილის ექსპერტიზა. 2013 წლის 11 სექტემბერი.
– "მრავალფუნქციური შენობა ქ. თბილისში ყაზბეგის გამზ. №25-ში" – პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ექსპერტიზა'. 2013 წლის 12 ნოემბერი.
– "საექსპერტო დასკვნა ქ. თბილისში დემეტრე თავდადებულის ქ. №39-ში შ.პ.ს. G&A Group"-ის საკუთრებაში არსებული ნაგებობის მზიდი ელემენტების გამოკვლევა მისი სასაწყობე სათავსოდ გამოყენების მიზნით". 2015 წლის 15 იანვარი.
– ქ. თბილისში, თავისუფლების მოედანი №7-ში 5-ვარსკვლავიანი სასტუმრო-კომპლექსის კონსტრუქციული ნაწილის საექსპერტო დასკვნის შესრულება. 2015 წლის 29 იანვარი.
– "დასკვნა ქ. თბილისში, ბარნოვის ქ №183-ის მიმდებარედ არსებული საცხოვრებელი სახლების კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ. 2015წლის 03 აპრილი
– ქ. თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ შ.პ.ს. "ბრიტანულ-ქართული აკადემიის"კონსტრუქციული პროექტის საექსპერტო შეფასება. 2015 წლის 06 აპრილი
– ქ. თბილისში, კოჯრის გზატკეცილზე და მის მიმდებარედ შ.პ.ს. "სოლოლაკი ჰილზ"-ის მრავალფუნქციური სასტუმრო კომპლექსის "სოლოლაკის ბაღები"-ს პროექტის ფუძეების, საძირკვლებისა და ძირითადი კონსტრუქციების საპროექტო შეფასება. 2015 წლის 23 აპრილი.

– ქ. თბილისში, კოჯრის გზატკეცილზე და მის მიმდებარედ შ.პ.ს. “სოლოლაკი ჰილზ”-ის მრავალფუნქციური სასტუმრო კომპლექსის “სოლოლაკის მაღლობი”-ს პროექტის ფუძეების, საძირკვლებისა და ძირითადი კონსტრუქციების საპროექტო შეფასება. 2015 წლის 15 მაისი.
– “საექსპერტო დასკვნა ქ. ბათუმში, ნინოშვილის ქუჩაძე მდებარე ქართულ-ამერიკული ტექნოლოგიური უნივერსიტეტის ყოფილი შენობის ფუძეების, საძირკვლებისა და სხვა კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ. 2015 წლის 10 ივნისი.
– “ქ. ბათუმში, “ბათუმი თაუერი”-ს მრავალფუნქციური კომპლექსი”-ს პროექტის ფუძეების, საძირკვლებისა და სხვა ძირითადი კონსტრუქციული ელემენტების საექსპერტო შეფასება. 2015 წლის 20 ივლისი.